Bakhvi HPP

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”

მატერიალურობის ანალიზი

დოკუმენტი დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 4

მატერიალურობის ანალიზის ანგარიშის მიზანი 4

საწარმოო რისკების მართვა და მატერიალური საკითხები 7

ტექნოლოგიური რისკი 11

ორმაგი მატერიალურობის პრინციპი 12

განვითარებადი ბაზრების რეგულაციები 13

ლობირება და სავაჭრო ასოციაციები 14

ბიზნეს მაგალითი ე.წ.ქეისი 14

მატერიალურობის შეფასებაში როლები და პასუხისმგებლობები 19

მატერიალურობის შეფასების პროცესი 19

დასკვნა 20

მატერიალურობის ანალიზის ყოველწლიური გადახედვის პროცესი 21

აკრონიმები

CCEH	კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი
EHS	გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვა
EMS	გარემოსდაცვითი მართვის სისტემა
ERM	საწარმოს რისკების მართვა
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
GWh	გიგა ვატსაათი
HPP	ჰიდროელექტროსადგური
HR	ადამიანური რესურსები
H&S	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
IFC PS	საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესრულების სტანდარტები
MW	მეგავატი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"
მატერიალურობის ანალიზი

შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" (შემდგომში - „კომპანია") გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1" ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი" (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის" ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის მშენებლობა ხორციელდება გურიის რეგიონში, კერძოდ: მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ^3/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონე იქნება ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან იქნება 1383.0 მ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

მატერიალურობის ანალიზის ანგარიშის მიზანი

მატერიალურობის ანალიზის მომზადება კომპანიისთვის მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც მენეჯმენტს ეხმარება ყველაზე აქტუალური მდგრადობის საკითხების იდენტიფიცირებაში, შეფასებასა და პრიორიტეტიზაციაში, რათა განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს როგორც ბიზნესზე, ისე დაინტერესებულ მხარეებზე. ამგვარად, მატერიალურობის ანალიზის მთავარი მიზანი წარმოადგენს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების განსაზღვრას, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისთვის და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ღირებულების შექმნაზე.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-მა განსაზღვრა 29 პრიორიტეტი და ისინი მატერიალურობის მატრიცაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ქვეშ გააერთიანა. ამ ფაქტორების განსაზღვრით, კომპანია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, როგორც საზოგადოების კეთილდღეობაში, ასევე გარემოს დაცვაში.

დიაგრამა 1: მატერიალურობის საკითხები გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებზე დაყრდნობით

გარემოსდაცვითი მიმართულება

1. პირდაპირი ემისიები (Scope 1)
2. არაპირდაპირი ემისიები (Scope 2)
3. სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3)
4. პროექტის ზეგავლენის არეალში ბიომრავალფეროვნების მუდმივი შეფასება და მონიტორინგი
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმით (ESAP) განსაზღვრული პირობების შესრულება
6. ნარჩენების მართვა
7. ნიადაგის ეროზიისა და ნატანის კონტროლი
8. წყლის რესურსების მართვა
9. გაუტყეურება
10. კლიმატის ცვლილების რისკი და მდგრადი ინფრასტრუქტურა

სოციალური მიმართულება

11. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და სამართლიანი სამუშაო პირობები
12. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებში გადამზადებულ ადამიანთა რაოდენობა
13. სამუშაოსთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობა
14. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ს ცნობიერების ამაღლების უსაფრთხოების კუთხით - - შეხვედრების რაოდენობა და მონაწილეთა ჩართულობის დონე
15. საჩივრების მექანიზმი და ადგილობრივი თემის ჩართულობა
16. პროექტის გავლენა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე და მის ხელმისაწვდომობაზე
17. განხორციელებული სოციალური პროექტების რაოდენობა და მასშტაბი
18. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამუშაო ძალის შემადგენლობაში
19. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა
20. ადამიანის უფლებები

მმართველობითი მიმართულება

21. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ში დანერგილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
22. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ში მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმომედო გეგმა
23. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ში მიღებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა
24. გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე
25. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პროგრამების მხარდაჭერა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
26. ანტი-კორუფციულ და ეთიკურ პროცედურებთან შესაბამისობა
27. გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისი შესყიდვები
28. მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და ანგარიშგება
29. მშენებლობის პერიოდში ფინანსური შესრულების მაჩვენებლები და ბიუჯეტის კონტროლი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-თვის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების იდენტიფიცირების შემდეგ, თითოეულ პრიორიტეტს მიენიჭა ქულა 1-დან 100-მდე დიაპაზონის შკალაზე. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს კომპანიისთვის ყველაზე კრიტიკული და ნაკლებად კრიტიკული საკითხების შეფასებასა და განსაზღვრას.

მნიშვნელოვანი საკითხების პრიორიტეტიზაცია ხორციელდება სტრუქტურირებული შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის დეტალური აღწერა მოცემულია ორმაგი მატერიალურობის პრინციპის თავში.

აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებული ქულები განთავსებულია მატერიალურობის მატრიცაზე, რაც შესაძლებელს ხდის კრიტიკული ელემენტების იდენტიფიცირებას, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობაზე.

გრაფიკი 1: *მატერიალურობის მატრიცა*



პრიორიტეტების ცხრილი

მაღალი პრიორიტეტი	**საშუალო პრიორიტეტი**	**დაბალი პრიორიტეტი**
4. პროექტის ზეგავლენის არეალში ბიომრავალფეროვნების მუდმივი შეფასება და მონიტორინგი **(‘E’*)**	6. ნარჩენების მართვა **(‘E’*)**	1. პირდაპირი ემისიები (Scope 1) **(‘E’*)**
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული (ESAP) პირობების შესრულება **(‘E’*)**	7. ნიადაგის ეროზიისა და ნატანის კონტროლი **(‘E’*)**	2. არაპირდაპირი ემისიები (Scope 2) **(‘E’*)**
8. წყლის რესურსების მართვა **(‘E’*)**	9. გაუტყეურება **(‘E’*)**	3. სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3) **(‘E’*)**
11. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და სამართლიანი სამუშაო პირობები **(‘S’**)**	12. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებში გადამზადებულ ადამიანთა რაოდენობა **(‘S’**)**	10. კლიმატის ცვლილების რისკი და მდგრადი ინფრასტრუქტურა **(‘E’*)**
13. სამუშაოსთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობა **(‘S’**)**	14. ადგილობრივი მოსახლეობისთვის	17. განხორციელებული სოციალური პროექტების

	უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა - შეხვედრების რაოდენობა და მონაწილეთა ჩართულობის დონე **(‘S’**)**	რაოდენობა და მოცვის არეალი **(‘S’**)**
15. საჩივრების მექანიზმი და ადგილობრივი თემის ჩართულობა **(‘S’**)**	18. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამუშაო ძალის შემადგენლობაში **(‘S’**)**	
16. პროექტის გავლენა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე და მის ხელმისაწვდომობაზე **(‘S’**)**	24. გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე **(‘G’***)**	
19. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა **(‘S’**)**	26. ანტი-კორუფციულ და ეთიკის პროცედურებთან შესაბამისობა **(‘G’***)**	
20. ადამიანის უფლებები **(‘S’**)**		
21. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში დანერგილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა **(‘G’***)**		
22. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა **(‘G’***)**		
23. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში მიღებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა **(‘G’***)**		
25. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროგრამების მხარდაჭერა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან **(‘G’***)**		
27. გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისი შესყიდვები **(‘G’***)**		
28. მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და ანგარიშგება **(‘G’***)**		
29. მშენებლობის პერიოდში ფინანსური შესრულების მაჩვენებლები და ბიუჯეტის კონტროლი **(‘G’***)**		

*E - გარემოს დაცვა; **S – სოციალური; ***G - მმართველობითი

საწარმოო რისკების მართვა და მატერიალური საკითხები

მატერიალურობის ანალიზი პირდაპირ არის ინტეგრირებული შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის საწარმოო რისკების მართვის ჩარჩოში, რომელიც მოიცავს:

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიცირებას და მათ ზეგავლენას ბიზნესზე.

- მაღალი პრიორიტეტის მქონე რისკების შესამცირებელი სტრატეგიების შემუშავებას.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინიციატივების კორპორატიულ სტრატეგიასთან და რისკის მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობა.
- ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის გამჭვირვალე ანგარიშგება საინვესტიციო და ოპერაციული გეგმარების ინფორმირებული პროცესი.

#	მატერიალური საკითხი	შესაბამისი საწარმოო რისკი	შემარბილებელი სტრატეგია
1.	პირდაპირი ემისიები (Scope 1) და არაპირდაპირი ემისიები (Scope 2)	რეგულაციების შესაბამისობის რისკი, ნახშირბადის ფასების გავლენა	ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვა, ნახშირბადის კრედიტების ბაზრის ათვისება
2.	პირდაპირი ემისიები (Scope 1) და არაპირდაპირი ემისიები (Scope 2)	მიწოდების ჯაჭვის ემისიების რისკი; ინვესტორების მხრიდან გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კრიტიკული შეფასება	მომწოდებლებთან თანამშრომლობა ემისიების შემცირების საკითხზე, განახლებადი ენერგიის შეძენა
3.	სხვა არაპირდაპირ ემისიები (Scope 3)	მიწოდების ჯაჭვის ემისიების რისკი; ინვესტორების მხრიდან გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კრიტიკული შეფასება	მომწოდებლებთან თანამშრომლობა ემისიების შემცირების საკითხზე, განახლებადი ენერგიის შეძენა
4.	პროექტის ზეგავლენის არეალში ბიომრავალფეროვნების მუდმივი შეფასება და მონიტორინგი	ეკოსისტემაზე ზეგავლენა; გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობა და რეპუტაციული რისკი	რეგულარული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგი, კარგი სამშენებლო პრაქტიკის დანერგვა ჰაბიტატების დაზიანების რისკის მინიმუმამდე შემცირებისთვის
5.	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების სამოქმედო გეგმით (ESAP) განსაზღვრული პირობების შესრულება	მარეგულირებელთან შესაბამისობა და სამართლებრივი რისკები	შესაბამისობის მონიტორინგის სისტემის გაძლიერება, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა, რეგულარული შიდა აუდიტის განხორციელება
6.	ნარჩენების მართვა	გარემოს დაბინძურება; სამართლებრივი შეუსაბამობის რისკი; ჯარიმები და სანქციები;	ნარჩენების მართვის გეგმის თანმიმდევრული აღსრულება; დასაქმებულების გადამზადება; ლიცენზირებულ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმება
7.	ნიადაგის ეროზიისა და ნატანის კონტროლი	ინფრასტრუქტურის დაზიანება და წყლის დაბინძურების რისკი	ეროზიისგან დამცავი ზომების მიღება (მაგ. ეროზიისგან დამცავი ბადეების მოწყობა); ბუნებრივი ჩამონადენის კონტროლი; სამშენებლო სამუშაოების შესაბამის პერიოდში დაგეგმვა (მაგ. მეწყრული პროცესების განვითარების დაბალი ალბათობის პირობებში)

8.	წყლის რესურსების მართვა	წყლის რესურსების არასწორი მართვა და ადგილობრივი მარეგულირებლის მოთხოვნებთან შეუსაბამობა	მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მუდმივი კონტროლი; ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგი; ჩამდინარე წყლების კონტროლი
9.	გაუტყეურება	ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება და დაინტერესებული მხარეების შეშფოთების რისკი	ხეების ჭრის მინიმიზაცია; ტყის განაშენიანების გეგმის შედგენა და განხორციელება; ზემოქმედების შეფასებაში გარემოსდაცვითი ექსპერტების ჩათვლა
10.	კლიმატის ცვლილების რისკი და მდგრადი ინფრასტრუქტურა	ფიზიკური კლიმატის ცვლილების რისკი და გრძელვადიანი აქტივების მოწყვლადობა	კლიმატის რისკების შეფასების ინტეგრირება პროექტის დეტალური დიზაინის შემუშავების ეტაპზე; მდგრადი სამშენებლო სტანდარტების გამოყენება
11.	ადგილობრივი მოსახლეობისდასაქმება და სამართლიანი სამუშაო პირობები	შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური გარემოს არასტაბილურობის რისკი	ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პრიორიტეტიზაცია; სამართლიანი სამუშაო პრაქტიკის გაძლიერება; საჩივრების მექანიზმის დანერგვა და გაძლიერება
12.	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებზე გადამზადებულ ადამიანთა რაოდენობა	სამუშაო ძალის მომზადების დონესთან და რეგულაციებთან შესაბამისობის რისკი	რეგულარული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგები; ტრენინგების ჩანაწერების შენახვა; ტრენინგებიდან მიღებული ცოდნის პერიოდული შეფასება
13.	სამუშაოსთან დაკავშირებული ინციდენტების რაოდენობა	სამუშაო დგილზე დასაქმებულების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები; სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურება და რეპუტაციული რისკი	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმების დანერგვა/განხორციელება; დასაქმებულების პირადი დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა; ინციდენტების აღრიცხვა და გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარება;
14.	უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროგრამა ადგილობრივი დასახლებისთვის - ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკი; რეპუტაციული რისკი	უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროგრამების განხორციელება; უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების გავრცელება; შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი; ადგილობრივ უწყებებთან მუდმივი კომუნიკაცია
15.	საჩივრების მექანიზმი და ადგილობრივი თემის ჩართულობა	საზოგადოებრივი კონფლიქტისა და რეპუტაციული რისკის საფრთხე	ხელმისაწვდომი საჩივრების მექანიზმის შენარჩუნება; დაინტერესებული მხარეების შეშფოთებების აღრიცხვა და მათზე დროული რეაგირება; გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა
16.	პროექტის გავლენა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე და მის ხელმისაწვდომობაზე	ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ სერვისებზე ზემოქმედება და მობილობის შეფერხების რისკი	სამშენებლო სამუშაოების იმგვარად დაგეგმვა, რომ მინიმუმამდე იყოს შემცირებული გზაზე გადაადგილების შეფერხება; შესაძლო შეფერხების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება; შესაძლებლობების ფარგლებში ალტერნატივის შეთავაზება
17.	განხორციელებული სოციალური პროექტების	საზოგადოების უკმაყოფილებისა და ნდობის დაკარგვის რისკი	კონსულტაციების საფუძველზე ადგილობრივი მოსახლოების საჭიროებების კვლევა; პროექტების ეფექტიანობის

	რაოდენობა დამოცვის არეალი		მუდმივი მონიტორინგი; ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება
18.	გენდერული მრავალფეროვნება და ინკლუზია	შრომითი უთანასწორობისა და დისკრიმინაციის რისკი	ინკლუზიური დასაქმების პროცედურის წახალისება; გენდერთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება; გენდერული მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი
19.	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მაღალი დონის დაკარგვისა და კონფლიქტის გამწვავების რისკი	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შემუშავება და თანმიმდევრული აღსრულება; დაინტერესებულ მხარეებთან ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის შენარჩუნება; უკუკავშირის მიღება და შესაბამისი რეაგირება
20.	ადამიანის უფლებები	დასაქმებულებისა და პროექტის ზეგავლენის არეალში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევის რისკი	ყოვლისმომცველი ადამიანის უფლებების კოპრორატიული პოლიტიკის არსებობა; პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება; რისკებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების წინასწარ გამოვლენა; გამართული საჩივრების მექანიზმის არსებობა; მიღებული უკუკავშირზე დროული რეაგირება
21.	შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში დანერგილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის რისკი; ინვესტორების ნდობის დაკარგვის რისკი	გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მართვის სისტემის (ESMS) არსებობა და მისი თანმიმდევრული აღსრულება; დამოუკიდებელი მესამე მხარის მხრიდან აუდიტის ჩატარება
22.	შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა	პროექტის განხორციელების ვადის გაჭიანურება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული შეუსაბამობის გამო	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP)-ის არსებობა და მისი თანმიმდევრული აღსრულება; გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების აღსრულების მუდმივი მონიტორინგი
23.	შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ში მიღებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა	რეპუტაციული ზიანისა და ადგილობრივ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო დაჯარიმების რისკი	პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან; გამჭვირვალე ანგარიშგების უზრუნველყოფა
24.	გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე	სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის რისკი; სამართლებრივი პასუხიმსგებლობის დადგომის რისკი	თანაბარი შესაძლებლობების პროგრამების დანერგვა და განხორციელება; მრავალფეროვნების მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი
25.	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროგრამების მხარდაჭერა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან	სუსტი მმართველობა; დაინტერესებული მხარეების ნდობის დაკარგვა	სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მუდმივი მონიტორინგი; გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

26.	ანტი-კორუფციულ და ეთიკურ პროცედურებთან შესაბამისობა	თაღლითობის, უკანონო ქმედებებისა და რეგულაციების დარღვევის რისკი	ქცევის კოდექსის პოლიტიკის არსებობა და მისი თანმიმდევრული აღსრულება; ანტი-კორუფციული მიმართულების შესახებ თანამშრომელთა გადამზადება; შესყიდვებისა და კონტრაქტების მუდმივი მონიტორინგი და აუდიტი მესამე დამოუკიდებელი მხარის მიერ
27.	გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისი შესყიდვები	მომარაგების ჯაჭვის დარღვევისა და მომწოდებლის მხრიდან რეგულაციებთან შეუსაბამობის რისკი	მომწოდებლებისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების კრიტერიუმების განსაზღვრა; მომწოდებელთა ქცევის კოდექსის არსებობა და მომწოდებლისთვის მისი დეტალური გაცნობა; კონტრაქტებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების გაწერა და ინტეგრირება
28.	მონაცემების შეგროვება, მონიტორინგი და ანგარიშგება	მონაცემთა მთლიანობის დარღვევისა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების შეუსაბამო ანგარიშგების რისკი	ავტომატიზირებული მონაცემთა სისტემების არსებობა; მუდმივი შიდა კონტროლი და აუდიტის განხორციელება მესამე, დამოუკიდებელი მხარის მიერ
29.	მშენებლობის პერიოდში ფინანსური შესრულების მაჩვენებლები და ბიუჯეტის კონტროლი	ბიუჯეტის გადახარჯვის რისკი	ბიუჯეტის მონიტორინგის სისტემების დანერგვა; ხარჯების მუდმივი კონტროლი; შესყიდვების ზედამხედველობისმექანიზმის დანერგვა და თანმიმდევრული აღსრულება

ტექნოლოგიური რისკი

ჰიდროენერგია წარმოადგენს განახლებადი ენერგიის ერთ-ერთ ყველაზე მდგრად, საიმედო და დროში წარმატებით გამოცდილ ტექნილოგიას, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ასრულებს მნიშვენლოვან როლს სუფთა ელექტროენერგიის წარმოებაში. ბახვი 1 ჰესის მიერ ენერგიის წარმოება ეფუძნება სწორედ აღნიშნულ ჰიდრო ინფრასტრუქტურას. ფუნდამენტური ტექნიკური პარამეტრების გარდა, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" გამოიყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც განაპირობებს ოპერირების მდგრადობას, გაუმჯობესებას, გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და უსაფრთხოების ეფექტიან ზედამხედველობას. აღნიშნულ ტექნოლოგიებში შედის ზედამხედველობის მართვისა და მონაცემთა აღრიცხვის სისტემა (SCADA), რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და მართვის ეფექტიანობას რეალურ დროში. ავტომოტიზირებული დონმზომი სადგურების საშუალებით ჰესის მშენებლობის ეტაპზე ხორციელდება მდ. ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის კონტროლი, ხოლო ოპერირების ფაზაში განხორციელდება ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტი მონიტორინგი. ვიდეო მონიტორინგის სისტემები კი ბახვი 1 ჰესის ექსპლუატაციაში გასვლის შემდეგ უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოებას.

ამგვარი ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც რისკების ეფექტიან მართვას, ისე ოპერირების პროცესების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ სისტემებთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა ტექნიკური ხარვეზები, მონაცემთა სიზუსტე და კიბერ უსაფრთხოება, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მდგრადი ოპერირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანი შერწყმით, კომპანია უზრუნველყოფს ოპერირების საიმედოობას და აძლიერებს ნდობას, როგორც დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე მარეგულირებელ ორგანოებთან.

ორმაგი მატერიალურობის პრინციპი

ორმაგი მატერიალურობის მიდგომა ითვალისწინებს შემდეგს:

- **შიდა გავლენა ბიზნესზე:** როგორ აისახება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები ფინანსურ შედეგებზე, ოპერაციულ პროცესებზე და სამართლებრივ მდგომარეობაზე.
- **გარე გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე:** როგორ ზემოქმედებს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის ოპერირება ადგილობრივ თემებზე, ბიომრავალფეროვნებაზე და კლიმატის ცვლილებაზე.

გამჭვირვალეობისა და თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად მატერიალურობის საკითხების პრიორიტეტიზაციის პროცესში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" იყენებს სტრუქტურირებულ შეფასების სისტემას გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორების მნიშვნელობის განსასაზღვრად.

მატერიალურობის ანალიზის შეფასების მეთოდოლოგია

მატერიალურობის საკითხებისადმი პრიორიტეტის მინიჭება ხორციელდება შეფასების სისტემის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება შიდა დისკრეციას, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებსა და ბიზნესის ჯეროვან სტრატეგიას. თითოეული საკითხი ფასდება მისი გავლენის მიხედვით ოპერირებაზე, რეგულაციების შესაბამისობაზე, დაინტერესებული მხარეების მოლოდინებზე და გრძელვადიან მდგრადობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან და მდგრადობის პრინციპებთან შესაბამისობა.

შეფასების სისტემა ეფუძნება 1-100 შკალას და კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

- დაბალი პრიორიტეტი (1-50): საკითხები, რომლებსაც აქვს მინიმალური გავლენა, თუმცა მათი მომავალი მნიშვნელობა მონიტორინგს საჭიროებს.
- საშუალო პრიორიტეტი (51-80): მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებს აქტიურ მართვას, მაგრამ არ წარმოადგენს დაუყოვნებლივ მაღალ რისკს.
- მაღალი პრიორიტეტი (81-100): კრიტიკული საკითხები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ოპერაციულ პროცესებზე, რეგულაციების შესაბამისობაზე და დაინტერესებული მხარეების ნდობაზე.

შეფასების პროცესი ხორციელდება მენეჯმენტის, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების სპეციალისტებისა და ფუნქციური დეპარტამენტების ჩართულობით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ინფორმირებულ და გააზრებულ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უწყობს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას და უზრუნველყოფს მოქნილობას, რათა კომპანიამ ეფექტიანად უპასუხოს ბიზნესისა და რეგულაციების დინამიკურ ცვლილებებს.

		ბიზნესის გავლენა		
		დაბალი	საშუალო	მაღალი
დაინტერესებული მხარეების გავლენა	მაღალი	ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე	კლიმატის ცვლილების რისკი	წყლის რესურსების გამოყენება
	საშუალო	სამუშაო ადგილთან დაკავშირებული უსაფრთხოება	ეთიკური მმართველობა	საზოგადოებასთან ურთიერთობა
	დაბალი	განახლებადი ენერგიის მიზნები	თანამშრომლების მრავალფეროვნება	მიწოდების ჯაჭვის შესაბამისობა გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობით საკითხებთან

განვითარებადი ბაზრების რეგულაციები

შპს „სი-სი-ეიჩ-ჰაიდრო VI" პროექტიულად უდგება რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხს და სისტემატურად აახლებს და აინტეგრირებს გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს კორპორაციული მმართველობისა და რისკების მართვის პროცესებში. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რეგულაციების განვითარების პარალელურად, კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის შესაბამისობას ისეთ ჩარჩოებთან, როგორიცაა გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები და ევროპის საინვესტიციო ბანკის სტანდარტები.

მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა სათბურის აირების ემისიები, მდ.ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენი, ბიომრავალფეროვება, თემების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, თუ ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა (HRDD) რეგულარულად ფასდება, ყოველწლიურად ანალიზდება და ექვემდებარება შესაბამის ცვლილებებს. ამგვარი მიდგომა უზურნველყოფს

როგორც განვითარებად რეგულაციებთან შესაბამისობას, ისე დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას. შედეგები სრულად ინტეგრირებულია კომპანიის ორგანიზაცილი რისკების მართვის (ERM) ჩარჩოში, რაც შესაძლებლობას იძლევა სცენარების გააზრებული დაგეგმვისთვის, დროული შესაბამისობის რეაგირებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) საქართველოსთვის ჯერ სავალდებულო არ არის, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საკუთარ საქმიანობას ამ დირექტივის ძირითად პრინციპებსა და თემატურ აქცენტებზე დაყრდნობით წარმართავს. კომპანია აღიარებს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტებთან შესაბამისობის მნიშვნელობას. ეს მიდგომა აუმჯობესებს როგორც გასაჯაროვებული ინფორმაციის ხარისხს და სანდოობას, ასევე ამზადებს კომპანიას მომავალი რეგულაციებისთვის და ზრდის ნდობას ინვესტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ლობირება და სავაჭრო ასოციაციები

შპს „სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI" წარმოადგენს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) წევრს. აღნიშნული ასოციაცია წამყვანი სექტორული გაერთიანებაა, რომელიც საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით მუშაობს ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით, მათ შორის - ლობირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ შპს „სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI" უშუალო პოლიტიკურ ლობირებაში არ მონაწილეობს, GREDA-ს წევრობა კომპანიას აძლევს სტრუქტურირებულ და ეფექტიან პლატფორმას პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობისათვის და ისეთ მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის ხელშესაწყობად, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის მდგრად განვითარებას. აღნიშნული პარტნიორობა აღიარებულია როგორც არაპირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი შპს „სი-სი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს მდგრადობის ანგარიშგების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიის გამჭვირვალე, პასუხისმგებელი და სტრატეგიულად გააზრებული თანამშრომლობის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც სცდება მისი უშუალო ოპერაციული საქმიანობის ფარგლებს და სრულად შეესაბამება გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მიზნებს.

ბიზნეს მაგალითი ე.წ.ქეისი

<u>გარემოსდაცვითი მართვის სისტემა</u>

ჰიდროელექტროსადგურები აწარმოებენ სუფთა და განახლებად ენერგიას, რაც ხელს უწყობს უფრო მდგრადი მომავლის შექმნას. თუმცა, ამგვარი პროექტების გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველსაყოფად და ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად, აუცილებელია გარემოსდაცვითი მართვის სისტემასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და ეფექტიანი მართვა. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჰიდროელექტროსადგურის ოპერირების ფაზისთვის რელევანტურ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან (ESMS) დაკავშირებულ ძირითად რისკებსა და შესაბამის შერბილების ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი და მდგრადი ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

<u>ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მართვის სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები:</u>

რისკი	შემარბილებელი ღონისძიებები
ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების ცვლილება	• სამშენებლო სამუშაოების დროს ეკოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებისგან თავის არიდება • რეგულარული მონიტორინგის ჩატარება და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის თანმიმდევრული აღსრულება

ნიადაგის ეროზია და მდინარეში ნატანის დაგროვება	• ჰიდროთესვა ეროზიის შესაკავებლად • ნატანის რეგულარული მონიტორინგი და მისი მოცილების სამუშაოების განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული მდინარის კალაპოტის ცვლილება • რეგულარული მონიტორინგი და წყლის ხარისხის კონტროლი
სამშენებლო ნარჩენებითა და საწვავის დაღვრით მდინარის დაბინძურება	• ნავთობისა და სხვა საშიში ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში შესაბამისი დამცავი საშუალებების არსებობა • დაღვრის საწინააღმდეგო პროცედურებისა ან/და დაღვრის შემთხვევაში შესაბამისი პროცესურების აღსრულება • სამშენებლო მოედანზე აბსორბენტების და შესაბამისი გამწმენდი საშუალებების არსებობა
ხმაურის, მტვრისა და ვიბრაციის გამო ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედება	• ხმაურიანი და მძიმე სამუშაოების მხოლოდ დღის საათებში განხორციელება • იმ ადგილების მუდმივი მორწყვა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გადაადგილების გამო მტვრიანდება
ნარჩენების არასათანადო მართვა	• სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება • ნარჩენების რაოდენობის მუდმივი მონიტორინგი და აღრიცხვა • კონტრაქტის განახლება შესაბამისი ლიცენზიის მქონე კონტრაქტორ კომპანიასთან, რომელიც სახიფათო ნარჩენების შემდგომ მართვაზე იქნება პასუხისმგებელი • მშენებელი კონტაქტორის მიერ ნარჩენების განკარგვის მუდმივი კონტროლი
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან შეუსაბამობა	• გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების რეესტრის მართვა • თითოეულ გარემოსდაცვით მოთხოვნასა და პირობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და შესრულებული საქმის მუდმივი მონიტორინგი
დასაქმებულების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტი	• სამშენებლო ობიექტზე მორგებული შრომის უსაფრთხოების ნორმების განახლება და შესაბამისი გეგმის აღსრულება • დასაქმებულებისთვის რეგულარული ინსტრუქტაჟების ჩატარება • მუდმივი ზედამხედველობა და დაუგეგმავი შემოწმება • დასაქმებულების პერსონალური დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა • ინციდენტების აღრიცხვა და მათზე დროული რეაგირება • სამშენებლო ობიექტზე ექიმის ყოფნა
შრომითი და სამუშაო პირობების დარღვევა	• საჩივრების მექანიზმის მკაცრი აღსრულება • კონტრაქტორების მართვის გეგმის არსებობა და მისი თანმიმდევრული აღსრულება • სამართლიანი ხელფასების, შრომითი ხელშეკრულებებისა და სამუშაო საათების გაწერა/აღსრულება
ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრები და უკმაყოფილება	• საჩივრების მექანიზმის გამჭვირვალედ ანგარიშწარმოება და მიღებულ საჩივრებზე დროული რეაგირება • პროექტის მიმდინარეობის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება
ადგილობრივი ინფრასტრუქტურის დაზიანება (მაგ. გზები, ხიდები)	• ადგილობრივი უწყებების წარმომადგენლებთან მუდმივი კომუნიკაცია გზაზე მძიმე ტექნიკის გადაადგილების გრაფიკთან დაკავშირებით • გზის დაზიანების შემთხვევაში ადგილობრივი უწყებების ინფორმირება და შესაბამისი ზომების გატარება • შემოვლითი გზების გამოყენება
სამუშაო ძალის თვალსაზრისით გენდერული დისბალანსი, ან დისკრიმინაცია	• ინკლუზიური დასაქმების უზრუნველყოფა • სამშენებლო ობიექტზე გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურის მოწყობა • თანასწორობისა და შევიწროების პრევენციის შესახებ თანამშრომლების პერიოდული გადამზადება

დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი ჩართულობა	• დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის არსებობა, მისი საჭიროების მიხედვით განახლება • დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კონსულტაცია • პროექტის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების გათვალისწინება • დაინტერესებული მხარეების აზრის დოკუმენტირება და მათთან დროული უკუკავშირი
შესყიდვებთან დაკავშირებული რისკი და კონტრაქტორის მხრიდან გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სტანდარტებთან შეუსაბამობა	• გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების ინტეგრირება მომწოდებელთან გაფორმებულ კონტრაქტში • კონტრაქტის პირობების მუდმივი მონიტორინგი სამშენებლო პერიმეტრისა და საცხოვრებელი ბანაკის ინსპექციისა და აუდიტის გზით

<u>**თანამშრომლების კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**</u>

ჰიდროენერგეტიკის სექტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს განახლებადი ენერგიის წარმოებასა და საზოგადოების მდგრად განვითარებაში, როგორც საქართველოში, ისე გლობალურად. ეს სფერო საჭიროებს შესაბამის შრომით ბაზარს და მაღალ საინვესტიციო კაპიტალ დაბანდებას. ეს საჭიროება განსაკუთრებით იკვეთება მშენებლობის ფაზაში, თუმცა ის ასევე მოიცავს ექსპლუატაციის ეტაპსაც.

ამ პროცესში თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს მდგრადობა, რისკების მართვა და კომპანიის გრძელვადიანი წარმატება.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სხვადასხვა რისკები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

<u>სამშენებლო სამუშაოების ფაზაში არსებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები:</u>

- მძიმე ტექნიკასთან დაკავშირებული ინციდენტები (მაგ: არასწორი მართვა, შეჯახება);
- მიწისძვრის, მეწყერის, ქვათაცვენის რისკები; ფერდების არასტაბილურობის რისკი
- ზვავის რისკი;
- სიმაღლიდან ვარდნა; კლდიდან ვარდნა; ორმოსა და თხრილში ჩავარდნა;
- მთიან, ვიწრო გზებზე დაბალი ხილვადობით გამოწვეული სატრანსპორტო ინციდენტების რისკი;
- მოწყობილობების დროებითი მონტაჟის დროს ელექტროობასთან დაკავშირებული რისკი;
- ექსტრემალური ამინდის პირობები (მაგ: ყინვა, ნისლი, ქარბუქი, წვიმა, გვალვა);
- მასალების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკები და ტრანსპორტის დატვირთვა/გადმოტვირთვის დროს მიღებული დაზიანების რისკი;
- პერსონალური დამცავი საშუალებების შეუსაბამო გამოყენება;
- მტვრის, ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედება;
  - მანუალური სამუშაოების შესრულების პროცესში ერგონომიული დაზიანებების რისკი;
- ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად შექმნილი ზემოქმედება;
- ხანძრის გაჩენის, ან აფეთქების რისკი;
- საგანგებო სიტუაციებისთვის არაშესაბამისი მზაობა;
- კონტრაქტორის მხრიდან შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევა;
- პანდემიებთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების დარღვევა და მათთან დაკავშირებული რისკები.

<u>ოპერირების ფაზაში არსებული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები</u>

- ელექტროშოკის რისკი;
- ოპერირების გუნდის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არასწორი გამოყენების რისკი;
- კოლექტიური დაცვის საშუალებების არასწორად გამოყენების რისკი;
- დახურულ სივრცეში მუშაობის რისკი;
- სიმაღლეზე მუშაობის რისკი;
- ამწეს ოპერორებასთან დაკავშირებული რისკი;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების რისკი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკი;
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გეგმებისა და პროცედურების შეუსრულებლობის რისკი;
- პანდემიებთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების დარღვევა და მათთან დაკავშირებული რისკები

<u>შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ზე ზემოქმედება</u>

პროექტის განხორციელების საწყისი ეტაპიდანვე, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" აქტიურად თანამშრომლობს გურიის რეგიონში მცხოვრებ ადგილობრივ თემებთან. ბახვი 1 ჰესის სამშენებლო ეტაპზე კომპანია მუდმივად უზრუნველყოფს, როგორც პროექტზე დასაქმებული პერსონალის, ასევე მიმდებარე თემების უსაფრთხოებას და პარალელურად იღებს ზომებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შემცირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ჰესის ინფრასტრუქტურა განთავსებულია მთიან და ტყიან რელიეფზე, რაც განაპირობებს მის იზოლირებულ ადგილმდებარეობას. უახლოესი დასახლებული პუნქტები უსაფრთხო მანძილზეა განლაგებული. პროექტის უშუალო ზემოქმედების არეალში არ ფიქსირდება არც მუდმივი საცხოვრებელი სახლები და არც კრიტიკული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა.

სამშენებლო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია თვალსაჩინო უსაფრთხოების ნიშნები, მათ შორის მაფრთხილებელი ნიშნები ტერიტორიაზე უნებართვოდ შესვლის, ცურვისა და თევზჭერის აკრძალვის შესახებ. უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად, ყველა აუცილებელი პირადი დაცვის საშუალება, ასევე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღჭურვილობა განთავსებულია საცხოვრებელ ბანაკში, სადაც დასაქმებული არიან ადგილობრივებიც. საცხოვრებელი ბანაკი მოწყობილია ისე, რომ უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს, კეთილმოწყობის შესაბამის სტანდარტებს და შეუფერხებელ წვდომას პირადი დაცვის საშუალებებსა და გადაუდებელი შემთხვევებისთვის საჭირო რესურსებზე. საცხოვრებელ ბანაკში მოწყობილია სარეკრეაციო სივრცეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს დასაქმებულებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობები.

უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გუნდები რეგულარულად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

პროექტის ინფრასტრუქტურის სტრატეგიულად შერჩეული მდებარეობა, ტერიტორიაზე გადაადგილების მკაცრი კონტროლი და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების ეფექტიან მართვას და მათ მინიმუმამდე შემცირებას.

<u>რესურსების ეფექტიანი და ცირკულარული მოხმარება</u>

პროექტის მშენებლობისა და ოპერირების პროცესში რესურსების ეფექტიანი მართვა და მათი ცირკულარული გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველყოფილი იყოს გრძელვადიანი მდგრადობა და გარემოზე ზემოქმედების შემცირება. რესურსების ეფექტიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია:

- დაუგეგმავი სარემონტო სამუშაოებისა და განახლების საჭიროება, რამაც შესაძლოა დამატებითი მასალების, ენერგიისა და წყლის გამოყენებას გამოიწვიოს.
- ბუნებრივი და სამრეწველო რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობით გამოყენება, მათ შორის ბეტონის, ფოლადის და სხვა მასალების.
- რეგულაციებთან შეუსაბამობა.

ცირკულარული მოხმარება მოიცავს შემდეგ რისკებს:

- რესურსების ხელახალი გამოყენების ზრდა.
- მასალების გადამუშავებასთან დაკავშირებული არაეფექტური პოლიტიკა.
- ნარჩენების რაოდენობის ზრდა.
- რესურსების გამოყენების შემცირება.
- რეგულაციებთან შეუსაბამობა.

<u>შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ზე ზემოქმედება</u>

ბახვი 1 ჰესმა მოიპოვა ყველა შესაბამისი ნებართვა და ლიცენზია ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ განახლებას ნებართვის მოქმედების ვადის ამოწურვამდე. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემაში ასახულია საერთაშორისო სტანდარტების (მაგ. IFC-ის და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები) ძირითადი მოთხოვნები დაბინძურებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

ნარჩენების მართვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. აღნიშნული გეგმა იზიარებს ნარჩენების იერარქიას: თავიდან არიდება–შემცირება– ხელახალი გამოყენება – გადამუშავება – განთავსება.

მუნიციპალურ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მართავს ადგილობრივი მუნიციპალური სერვისცენტრი, ხოლო სახიფათო ნარჩენების შესაბამის მართვას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული კომპანი. სახიფათო ნარჩენები, კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი განთავსების არეალში ინახება, გატანემდე. ასეთივე კონტრაქტი სახიფათო ნარჩენების შემდგომი განკარგვის მიზნით გაფორმებული აქვს ბახვი 1 ჰესის მშენებელ კონტრაქტორ კომპანიას, რომლის მონიტორინგიც შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების გუნდის წევრების მიერ მუდმივად ხორციელდება.

ზეთების დაღვრის შესამცირებლად სამშენებლო მოედანი აღჭურვილია დაღვრის საწინააღმდეგო კომპლექტებით/აბსორბენტებით. დასაქმებულთა გუნდი კარგად არის ინფორმირებული და გადამზადებული, თუ როგორ უნდა იმოქმედოს დაღვრის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი სწავლების გეგმისა და დაღვრაზე რეაგირების გეგმის მიხედვით.

მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით, ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ მოეწყობა ზეთის სეპარატორი.

2025 წლის განმავლობაში სამშენებლო ტერიტორიაზე ზეთის დაღვრის მნიშვნელოვანი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

მატერიალურობის შეფასებაში როლები და პასუხისმგებლობები

- **სამეთვალყურეო საბჭო:**
  - განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებას, ამტკიცებს მატერიალურობის საკითხებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს.
  - ახორციელებს ყოველწლიურ გადახედვას, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა კომპანიის ღირებულებებთან, პრიორიტეტებთან და მარეგულირებლის მოთხოვნებთან.
  - განიხილავს და ამტკიცებს მატერიალურობის შეფასების საბოლოო ვერსიას.

- **კომპანიის მენეჯმენტი:**
  - კოორდინაციას უწევს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მატერიალურობის ანალიზს და უზრუნველყოფს შესაბამის დეპარტამენტებთან ეფექტიან თანამშრომლობას.
  - ზედამხედველობას უწევს დამტკიცების პროცესს და მართავს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებით.
  - უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ანგარიშის საჯარო ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარეებისთვის.
  - ფუნქციური დეპარტამენტები (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის, ტექნიკური, ოპერირების, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების გუნდები):
  - აგროვებენ, აანალიზებენ და ანგარიშგებენ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მონაცემებს.
  - განსაზღვრავენ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი და შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის რისკებს და ინტეგრირებენ მდგრადი განვითარების ღონისძიებებს ოპერაციულ პროცესებში.
  - უზრუნველყოფენ მუდმივ მონიტორინგსა და შიდა ანგარიშგებას გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი და შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის, ტექნიკური, ოპერირების, ფინანსური და ადამინური რესურსების მიმართულებით.

- **გარე აუდიტორები და კონსულტანტები: შეფასება და ანალიზი**
  - ახორციელებენ მატერიალურობის ანალიზის დამოუკიდებელ შეფასებას, უზრუნველყოფენ მის ობიექტურობასა და სიზუსტეს.
  - წარმოადგენენ რეკომენდაციებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშგების გაძლიერებისა და რისკების მართვის გაუმჯობესებისთვის.
  - ამოწმებენ კომპანიის შესაბამისობას მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიულ სტანდარტებთან.

მატერიალურობის შეფასების პროცესი

მატერიალურობის შეფასება ხორციელდება სტრუქტურირებული და გამჭვირვალე მიდგომით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს და შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მმართველობის ჩარჩოსთან შესაბამისობას. პროცესის ძირითადი ეტაპებია:

- შეფასება და ანალიზი: ფუნქციური დეპარტამენტები აგროვებენ, აანალიზებენ და ამზადებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით მატერიალურობის მონაცემებს.
- შიდა განხილვა: შეფასება მენეჯმენტის გუნდის მიერ დეტალურად გადაიხედება. მენეჯმენტის გუნდი ასწორებს და სრულყოფს მას.
- გარე აუდიტი: დამოუკიდებელი აუდიტორები ამოწმებენ დოკუმენტაციას, ადასტურებენ მის სიზუსტეს და შესაბამისობას სტანდარტებთან.
- სამეთვალყურეო საბჭოს განხილვა: სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს მატერიალურობის შეფასების საბოლოო ვერსიას.
- დამტკიცება და გამოქვეყნება: სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც აძლიერებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

დასკვნა

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მატერიალურობის ანალიზი ხაზს უსვამს კომპანიის ვალდებულებას და ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები ინტეგრირებულია კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისა და რისკის მართვის პროცესში. მდგრადობის 29 ფაქტორის იდენტიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის შედეგად, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI” უზრუნველყოფს, რომ მისი საქმიანობა შეესაბამება მარეგულირებლის მოთხოვნებს, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს გრძელვადიან მდგრად განვითარებას.

კომპანიამ ეფექტიანად შეაფასა და ასევე წარმოაჩინა ძირითადი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრიორიტეტები მატერიალურობის მატრიცის მეშვეობით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ისეთი მაღალი ზემოქმედების არეალის იდენტიფიცირებას, როგორიცაა განახლებადი ენერგიის გამომუშავება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და ემისიების შემცირება.

გარდა ამისა, მატერიალურობის ანალიზის ინტეგრაცია კორპორატიული რისკების მართვის პროცესში საშუალებას აძლევს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ს, პრევენციულად მიუდგეს პოტენციურ რისკებს, გააძლიეროს მმართველობითი მექანიზმები და გააუმჯობესოს კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობა.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის მიდგომა ასახავს სტრუქტურირებულ და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ მდგრადობას, რაც მიზნად ისახავს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, თანამშრომლების კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ადგილობრივი თემების მხარდაჭერას.

კომპანია მუდმივად ატარებს ეფექტიან შემარბილებელ სტრატეგიებს, მათ შორის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსს, კლიმატური რისკების შეფასებას. დანერგა უსაფრთხოების ტრენინგები და აღასრულებს რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრინციპებს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესის ეფექტიანობას და მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესებითა და საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტებთან შესაბამისობით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI” პოზიციონირებს, როგორც პასუხისმგებლიანი განახლებადი ენერგიის მწარმოებელი.

მატერიალურობის ანალიზის ყოველწლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისო კორპორაციული მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს მატერიალურობის ანალიზის სტრატეგიულ მიმართულებას, ამტკიცებს მნიშვნელოვან საკითხებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს. საბჭო ყოველწლიურად გადახედავს მატერიალურობის ანალიზს, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა კომპანიის ღირებულებებთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და მარეგულირებლის მოთხოვნებთან.

კომპანიის მენეჯმენტი კოორდინაციას უწევს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მატერიალურობის ანალიზის პროცესს, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მართავს შესაბამისი მონაცემების შეგროვებისა და შეფასების პროცესს.

ფუნქციური დეპარტამენტები (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ტექნიკური, ოპერაციების, ფინანსებისა და იურიდიული გუნდები) აგროვებენ და აანალიზებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით მონაცემებს, აფასებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით რისკებს და აინტეგრირებენ მდგრადი განვითარების ღონისძიებებს ოპერირების პროცესებში.

ობიექტურობისა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გარე აუდიტორები და კონსულტანტები ახორციელებენ დამოუკიდებელ შეფასებას, წარმოადგენენ რეკომენდაციებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშგებისა და რისკების მართვის გაუმჯობესებისთვის და ამოწმებენ ინდუსტრიისა და რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გადახედვის პროცესში, სამეთვალყურეო საბჭო აფასებს მატერიალურ საკითხებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვის სტრატეგიებსა და მმართველობის ჩარჩოებს. საჭირო ცვლილებები განიხილება, ფასდება და საბოლოოდ საბჭოს მიერ დამტკიცდება.

დამტკიცების შემდეგ, განახლებული მატერიალურობის ანალიზი ქვეყნდება კომპანიის ვებგვერდზე. წინა ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩევა ვებგვერდზე არქივის განყოფილებაში.

ეს პროცესი აძლიერებს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI”-ის კორპორაციულ მმართველობას, ანგარიშვალდებულებასა და მდგრადი განვითარების სტრატეგიას, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს მოქნილად მოერგოს ბიზნესისა და რეგულაციების ცვლილებებს.